# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

სამშაბათი 19 ივნისი № 68 (11554) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეს ჩვენი ისტორიაა



## ჯრუჭის მონასტერი

საწერეთლოში, ზემო იმერეთში მდინარე ჯრუჭულას ხეობაში მნახველის ყურადღებას იპყრობს ტყით დაბურულ მაღალ მთაზე აღმართული მეთერთმეტე საუკუნის ჯრუჭის სამონასტრო ანსამბლი.

ქართული ხუროთმოძღვრების ეს ძეგლი-კარიბჭე სამრეკლოსა და გუმბათოვანი ეკლესიისაგან შესდგება. XVI-XVII საუკუნეებში მონასტერი განუახლებიათ.

1810 წლიდან, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდგომ, ჯრუჭი წერეთლების საგვარეულო საკუთრებად და სამარხად იქნა გადაქცეული. ჯრუჭი თავისი მონასტრით წერეთლებს იმერთა მეფეთაგან ჰქონდათ ნაბოძები.

არსებობს მოსაზრება, რომ თემურ ლენგის შემოსევების დროს საინგილოში თუ ზემო ქართლში შევიწროებული წერეთლები სწორედ XIV საუკუნეში მკვიდრდებიან იმერეთში. სწორედ მათ ადგილ-მამულს დაერქვა შემდეგ „საწერეთლო".

წერეთლებს იმერეთის სამეფოში და მის შემდგომ ხანებში ხელთ ეპყრათ უმაღლესი სასულიერო ხელისუფლებაც. ჯრუჭის მფლობელი წერეთლები ზემო მხარის სარდლებად იყვნენ ცნობილნი. 1823 წელს აქვეა დასაფლავებული ცნობილი სარდალი — სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი.

ჯრუჭის მონასტერი დიდძალ მამულებს ფლობდა, როგორც იმერეთში, ასევე რაჭაში.

ჯრუჭის მონასტერს განსაკუთრებული ამაგი დასდო დავით წერეთელმა. აქ იგი არქიმანდრიტად დამკვიდრებულა 1805 წელს. დავითმა განაახლა მონასტერი, მის მიდამოებში მან რამდენიმე ნაგებობაც ააგო. შემდგომ დავით წერეთელი, როგორც ჰყონდიდელი, განაგებდა სამეგრელოსა და იმერეთის ეპარქიებს. იგი ჯრუჭის მონასტერშია დასაფლავებული.

ჯრუჭის გუმბათოვან ტაძარს მრავალი ლაპიდარული წარწერა ამშვენებს. ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს, რომ XIX საუკუნეში ჯრუჭის მონასტერი განუახლებია სამეგრელოს თავადს, მონასტრის არქიმანდრიტს სიმონ აფაქიძეს. ტაძრის დამშვენებაში ალიბასტრის თავის კარნიზებით 1888 წელს მონაწილეობა მიუღია მეგრელ ოსტატს, სოფელ ხუწის მცხოვრებ ივანე ფარულავას. აქვეა დასაფლავებული 1889 წელს იმერთა სარდლის შვილიშვილი გირგოლ როსტომის ძე წერეთელიც.

დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით, ჯრუჭის მონასტერიც იწვევს ცოცხალ ინტერესს. ჩვენ ძეგლზე სოფელ ბარითის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგ-მასწავლებლებთან ერთად მოგვიხდა მისვლა.

როგორ ხვდება ჯრუჭის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს დიდი შვილის, მის წიაღში დაბადებულ და აღზრდილ უკვდავ აკაკი წერეთლის იუბილეს? დიდად ოპტიმისტური პასუხის გაცემა ამ კითხვაზე შეუძლებელია.

კომპლექსის დათვალიერების დროს განგვიცხადეს, კატეგორიულად აკრძალულია ტაძრის შიდა სივრცის ფოტო თუ კინო გადაღებაო, რომ ეს გადაწყვეტილება საჩხერის კულტურის განყოფილების მუშაკებისა. მიზეზს კი არ იკითხავთ? მიზეზი კი ტაძარში არსებული უსუფთაობაა და სიბინძურე — წვიმის წვეთებს გაუჟონავთ კედლებში და ირგვლივ სველი ბათქაშის სუნი ტრიალებს, ტაძარში უწესრიგოდაა მიყრილი სამშენებლო მასალა, კაცს ეგონება, ათასწლოვანი გუმბათოვანი ტაძარი საწყობად გამოუყენებიათო. აი, რატომ კრძალავენ ტაძრის ინტერიერის ჩიინებას. კომპლექსის გალავანი საფუძვლიანად ჩამორღვეული და მნახველზე მეტად სავალალო შთაბეჭდილებას სტოვებს. იუბილე კი წინაა — თუ დიდი წინაპრის ხსოვნის წინაშე როგორ უნდა მოიხადოს ვალი თანამედროვეობამ, ამაზე სერიოზული დაფიქრებაა საჭირო.

**თამაზ ჭიკავა**

**ავტორის ფოტო.**

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისათვის

## „ერთ უღელს ვეწეოდით..."

„მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს" — ასე განსაზღვრა პოეტმა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების მიზანი და მისთვის არასოდეს უღალატია. აკაკი წერეთელს, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, წილად ხვდა ყოფილიყო ერის სულიერი მოძღვარი, მისი წინამძღოლი თვითმპყრობელობის ბატონობის უმძიმეს პირობებში. ალბათ, ამიტომ ბუნებრივია, რომ დიდი მგოსნის საიუბილეო ზეიმის პროლოგად იქცა სწორედ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გამართული ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.

— ილია და აკაკი — ეს ორი სახელი ბედმა ერთმანეთს სამუდამოდ გადააჯაჭვა, — აღნიშნა თავის გამოსვლაში, რომლის თემა იყო „ილია და აკაკი", პროფესორმა ბეჟან ბარდაველიძემ, — ხასიათისა და ბუნების სხვადასხვაობას მათთვის ხელი არ შეუშლია, საერთო, საზოგადოებრივ საქმეში ერთად ყოფილიყვნენ. მათ ორივეს ერთი სალოცავი ხატი ჰქონდა — საქართველო, ერთი საფიქრალი ჰქონდა — ქართველი ხალხი, მისი ბედი, მისი მომავალი. ილიას და აკაკის შორის აზრთა სხვადასხვაობა და უთანხმოება არა ერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის, როცა საქმე ერის ინტერესებს ეხებოდა, აკაკი ყოველთვის მხარში ედგა ილიას, ამას ყველაზე უკეთ თავად აკაკის სიტყვები ადასტურებს — ჩვენ „ერთ უღელს ვეწეოდით, ერთი გზით მივდიოდით". ამ ორი ბუმბერაზის საერთო სამოღვაწეო ასპარეზზე თანადგომა ჭეშმარიტად სამაგალითოა თანამედროვეთათვის, მომავალი თაობისათვის, განსაკუთრებით ახლა, როცა ასე აღორძინდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და როცა ერთმა მრუდე ნაბიჯმა კი შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს...

მგოსნის უკვდავი ქნარის სიყვარულით იყო გამსჭვალული პროფესორ ალექსანდრე ღლონტის, დოცენტ ლადო მინაშვილის, აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის ეთერ ცივაძის, პოეტ მიხეილ ქვლივიძის გამოსვლები.

საღამო პოეზიის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. მსახიობებმა ელდინო და გურამ საღარაძეებმა, გოგი გეგეჭკორმა მსმენელები კიდევ ერთხელ შეახვედრეს დიდი აკაკის უბერებელ შემოქმედებას, რომელიც ასე საოცრად ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას, რესპუბლიკის რეალურ სინამდვილეს, და გრძნობ, დღესაც როგორ გვჭირდება აკაკი თავისი ცეცხლოვანი ლექსით და მსუსხავი სატირით...

**„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძიებაში მკვდარი".**

საღამოზე აჟღერდა პოეტის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

იმავე დღეს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გაიხსნა აკაკი წერეთლის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა „შენ ერთადერთი აკაკი ხარ..." — აქ წარმოდგენილია მგოსნის პირადი ნივთები, მისი ცხოვრების, შემოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეობის ამსახველი იშვიათი ფოტოდოკუმენტები, ილიას მუზეუმში დაცული წიგნები და გაზეთები, სადაც დაბეჭდილია აკაკის ნაწარმოებები.

**ნინო თათრულაიძე,**
**საქინფორმის კორ.**

## „ბრძოლა ბიუროკრატებს!"

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს უჩვეულო ასოციაცია, რომელიც ებრძვის პროფესიონალ ბიუროკრატებს. მისი წევრები არიან იუმორის ნიჭით დაჯილდოებული მწერლები, მეცნიერები, ბიზნესმენები, რომლებიც ავლენენ პირწავარდნილ ბიუროკრატებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით მათ დაცინვის საგნად ხდიან.

ასეთივე ასოციაცია იქმნება ჩვენს რესპუბლიკაშიც. ამ დღეებში ამერიკელი იუმორისტები — ბიუროკრატიის წინააღმდეგ მებრძოლები — გამოეხმაურნენ თავიანთი ქართველი კოლეგების მიწვევას და ჩამოვიდნენ გამოცდილების გასაზიარებლად.

სტუმრები აგრეთვე ეწვივნენ გურჯაანს, დაათვალიერეს რაიონის ღირშესანიშნაობანი.



**სურათზე:** ამერიკის პროფესიონალ — ბიუროკრატებთან მებრძოლი ასოციაციის წევრი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი იუმორისტი ჰარვი მინდესი.

3. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

**ხვალ საქართველოს უზენაესი საბჭო იმსჯელებს ერისთვის საჭირბოროტო საკითხებზე**

იხ. მე-3-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული მეურნეობის სათავეებთან

**ნებისმიერი** ქვეყნის სუვერენიტეტი რეალურია იმდენად, რამდენადაც დამოუკიდებელია მისი ეკონომიკა. ეკონომიკურ სუვერენიტეტს კი მარტოოდენ ბუნებრივი სიმდიდრეები და მატერიალური კულტურა როდი განსაზღვრავს, მთავარია მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეროვნული ეკონომიკის სიჯანსაღე, რაც ცხოვრების მაღალი დონის საწინდარია. ამ თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ახლახანს გამოქვეყნებული საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ კანონპროექტის მნიშვნელობა.

აშთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტმა თავი მოუყარა ყველა იმ პოზიტიურ იდეას, რომელიც საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის ადრინდელ მოდელებში იყო ასახული. ამასთანავე, ძალუმად იგრძნობა ეკონომიკური დამოუკიდებლობის ე. წ. ბალტიისპირული კონცეფციების გავლენაც, რომლებიც თითქმის ორი წლის წინ არის შემუშავებული საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის კონფედერალურ საწყისებზე გარდაქმნის მიზნით. ამ უკანასკნელთა ამოსავალი დებულებები კარგა ხანია, მოძველდა. უფრო მეტიც, ისინი უარყოფილია დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი თვით ლიტველი, ლატვიელი, ესტონელი ხალხის მიერ. როგორც ჩანს, ჩვენი ეკონომიკური ცნობიერება ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება დინამიურად მზარდ ეროვნულ თვითშეგნებას. ამას ადასტურებს ძველებურად აზროვნების სტერეოტიპებიც, რომლებიც არც თუ იშვიათად გვხვდება პროექტში.

დავიწყოთ პროექტის თუნდაც იმ ნაწილით, რომელიც საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის „განმსაზღვრელ საწყის პირობებს" აყალიბებს. აქ ლაპარაკია საქართველოს სსრ საკუთრების განკერძოებულობისა და სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მთლიანობაზე (კარი 1, მუხლი 3). ამასთანავე, აქვე დეკლარირებულია საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნება და თანასწორუფლებიანობა (კარი I, მუხლი 4). თუ ეს ასეა, მაშინ რესპუბლიკის საკუთრების ანუ სახელმწიფო საკუთრების განკერძოებულება ვერ იქნება ეკონომიკური დამოუკიდებლობის ამოსავალი პრინციპი. კიდევ უფრო გაუგებარია დებულება იმის შესახებ, რომ „რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმო, როგორც წესი, საქართველოს სსრ რესპუბლიკის საკუთრებას წარმოადგენს" (კარი I, მუხლი 4). აღსანიშნავია ისიც, რომ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ცნება ასახავს საერთოსახალხო, ანუ სახელმწიფო საკუთრებაზე დაფუძნებულ სამეურნეო სისტემას. იგი უფრო ტოტალიტარულ ეკონომიკას შეესატყვისება, ვიდრე დემოკრატიულს, რომელიც საკუთრების პლურალიზმს, მეწარმეობის თავისუფლებას და რეგულირებად ბაზარს ეყრდნობა. უმჯობესია შემოვიტანოთ ეროვნული მეურნეობის ცნება, რომელშიც საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა კუთვნილი საწარმოების გარდა, თანაბარი უფლებებით იქნებიან ინტეგრირებული სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და უცხოეთის ქვეყნების სრულ ან ნაწილობრივ კუთვნილებაში მყოფი საწარმოები. რაც შეეხება საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს, ჩვენის აზრით, უნდა მოხდეს მათი ნაციონალიზაცია საქართველოს სსრ სასარგებლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ, რესპუბლიკის შეხედულებისამებრ, ხელშეკრულებით გადაეცეს საკავშირო ხელისუფლებას. რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ იგი რაიმე ფორმით მომავალში მაინც იარსებებს.

ახლა კი გვინდა შევეხოთ საკითხს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის დინამიური განვითარებისათვის. საქმე ეხება ეროვნული მეურნეობის საკუთრების სტრუქტურას. მართალია, პროექტის მიხედვით დაშვებულია კერძო საკუთრებაც (კარი II, მუხლი 13). მაგრამ იგი საკუთრების დამოუკიდებელ ფორმად არ მიიჩნევა და, პირად საკუთრებასთან ერთად, მოქალაქეთა ინდივიდუალური საკუთრების სახეობად განიხილება. არადა, კერძო და პირადი საკუთრება ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ცნებებია და ეს ნათლად ჩანს, დოკუმენტის მომდევნო მუხლშიც (მუხლი 14), სადაც წერია, „პირადი საკუთრება ემყარება ცალკეული პირებისა და მათი ოჯახის წევრების შრომას და განკუთვნილია მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად", ხოლო კერძო საკუთრება „მოქალაქეთა მიერ განხორციელებული სასაქონლო წარმოების საფუძველია", ე. ი. იგი მიზნად ისახავს მოგების მიღებას და არა პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამავე დროს იგი ეფუძნება უპირატესად დაქირავებულ პირთა შრომას. აქედან გამომდინარე, პირადი და კერძო საკუთრება საკუთრების ორი დამოუკიდებელი ფორმაა და ამის პროექტში დაფიქსირება აუცილებელია.

პროექტში განხილულია საკუთრების კოლექტიური ფორმაც, რომლის სახესხვაობად მიიჩნევა კოოპერაციული, კორპორაციული, სააქციო, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების და მოქალაქეთა სხვა გაერთიანებების საკუთრება (კარი 3, მუხლი 15). აქაც შეინიშნება გარკვეული შინაარსობრივი უზუსტობა. კერძოდ ვერ ვხედავთ განსხვავებას კორპორაციულ და სააქციო საკუთრებას შორის. როგორც ცნობილია კორპორაცია სააქციო საზოგადოებაა და სხვა არაფერი. უფრო კორექტული იქნება თუ ჩავწერთ „კოოპერაციული, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების, სააქციო საზოგადოებების... საკუთრება". შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია — ეს არის კოლექტიური საკუთრების ფორმა, რომელიც ეყრდნობა შეზღუდული რაოდენობის პარტნიორთა საკუთრებას წარმოების საშუალებებზე. ამგვარი კომპანიების სახით არის ორგანიზებული დასავლეთის ქვეყნებში მცირე და საშუალო ზომის ფირმების უმეტესობა. ცხადია, თავისუფალი მეწარმოების განვითარებისათვის საქართველოში ამ ტიპის სტრუქტურებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გარკვეულ გაუგებრობას იწვევს, აგრეთვე თვით ტერმინიც „სააქციო საკუთრება", რაც იურიდიული ან ფიზიკური პირის აქციაზე საკუთრებას ნიშნავს. ამდენად, სააქციო საკუთრება თავისთავად არ შეიძლება იყოს კოლექტიური საკუთრების ნაირსახეობა. ასეთად შეიძლება განვიხილოთ სააქციო საზოგადოების საკუთრება. ეს უკვე ნიშნავს აქციონერთა (იურიდიულ ან ფიზიკურ პირთა) ერთობლივ საკუთრებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტი ითვალისწინებს საკუთრების ფორმების არა მარტო მრავალფეროვნებას, არამედ თანასწორუფლებიანობასაც. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ფორმის საკუთრების ობიექტები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად, პროექტის მიხედვით სახელმწიფოს საკუთრებაში შეიძლება იყოს პრაქტიკულად ყველაფერი: მეურნეობის სხვადასხვა დარგის საწარმოები, ენერგეტიკის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ქსელი (სისტემები), ინფრასტრუქტურის, მათ შორის საკურორტო-ტურისტული დანიშნულების ობიექტები, სახელმწიფო ბანკები და სხვა. კოლექტიური და განსაკუთრებით ინდივიდუალური (კერძო საკუთრების ცალკე გამოყოფის გარეშე) საკუთრების ობიექტებს შორის კი არც საწარმოებია პირდაპირ მითითებული და არც ბანკები. ამასთან საკუთრების ამ ორი ფორმის ობიექტებიც საგრძნობლად განსხვავდებიან. ინდივიდუალური (მათ შორის კერძო) საკუთრების საგანი შეიძლება იყოს ზოგადად წარმოების საშუალებები და მათთან გათანაბრებული ფასეულობები, არასაწარმოო დანიშნულების საგნები და ფასეულობები, ფული და ფასიანი ქაღალდები. აგრეთვე, ინტელექტუალური შრომის პროდუქტი (კარი II, მუხლი 14). რამდენადმე ფართოა კოლექტიური საკუთრების ობიექტების ჩამონათვალი. აქ შეიძლება იყოს, აგრეთვე, ინფრანსტრუქტურის ობიექტები, ფინანსური რესურსები და სხვა ქონება (კარი II, მუხლი 15). ერთი სიტყვით, დოკუმენტში არ ჩანს საკუთრების ფორმების თანასწორუფლებიანობა.

პროექტში საქართველოს აუცილებელ და განუყოფელ საკუთრებად არის გამოცხადებული მიწა, წიაღისეული, შიდა და ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი, ტყეები, ატმოსფერო რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში (კარი II, მუხლი 16). ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის, დემოგრაფიული და ეკოლოგიური სიტუაციის პირობებში ამგვარი მიდგომა ერთადერთი და სწორია. მიწა, წიაღისეული, და სხვა ბუნებრივი რესურსები ქართველი ხალხის ეროვნული საკუთრებაა და მათი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაქცევა არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, სწორედ მიგვაჩნია პროექტის დებულება მოქალაქისათვის მიწის მუდმივ სარგებლობაში მემკვიდრეობის უფლებით გადაცემის შესახებ, რაც სრულებით საკმარისია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირებისათვის.

პროექტში არა ერთხელ აღინიშნება, რომ საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა განხორციელდება თავისუფალი მეწარმეობის საწყისებზე რომ იურიდიული და ფიზიკური პირები უშუალოდ არ ექვემდებარებიან სახელმწიფო მმართველობით ორგანოებს (კარი I, მუხლი 10) ამავე დროს, დოკუმენტის მიხედვით სახელმწიფო იმდენად დიდ ეკონომიკურ უფლებამოსილებას ინარჩუნებს, რომ ეჭვის ქვეშ დგება მეწარმეობის თავისუფლების პრინციპი. თავად განსაჯეთ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და დარგობრივი მართვის ორგანოები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს „დარგების განვითარების, ინოვაციური პოლიტიკის განხორციელების და კადრების მომზადებს სფეროში" (კარი I, მუხლი 8) ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა იმალება ამ სტრიქონების მიღმა, მით უმეტეს, რომ რჩება დარგობრივი მართვის ორგანოები — დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, რომელთა მარტოოდენ არსებობაც კი, თუნდაც შეზღუდული ფუნქციებით, ბოჭავს თავისუფალ მეწარმეობას, ეს არ არის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, ეს უფრო ბიუროკრატიული დაწოლაა მატერიალური წარმოების სფეროზე, რომლის შედეგებსაც კარგად იცნობს თითოეული ჩვენთაგანი.

რაც შეეხება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას, არავინ უარყოფს მის აუცილებლობას, ოღონდ ზომიერ ფარგლებში, ეროვნულ მეურნეობაზე ეკონომიკური მეთოდების ზემოქმედების გზით. ამას ითვალისწინებს პროექტის კონცეფციაც. დოკუმენტის IV კარში სპეციალურად არის განხილული სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, კერძოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება, უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროპორციების დადგენა, აქტიური სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის გატარება და სხვა. პროექტში ვერ ნახავთ ჩვენთვის ისეთ ნაცნობ ცნებებს, როგორიცაა სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, ერთიანი გეგმური ნორმატივები ან კიდევ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. მიუხედავად ამისა, დოკუმენტში მაინც გვხვდება დებულებები, რომლებიც ვერა და ვერ წაადგება რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას. მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს ფუნქცია, გაატაროს ფასწარმოქმნის ერთიანი პოლიტიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო „აწესებს და არეგულირებს საქონლის ფასებსა და მომსახურების ტარიფებს" (კარი IV, მუხლი 23). ფასების დაწესება საბაზრო სტრუქტურის პირობებში დაუშვებელია და აქ ზედმეტია რაიმე საჭიროებაზე ლაპარაკი. რაც შეეხება ფასების რეგულირებას, ამისათვის არსებობს მათზე პირდაპირი ზემოქმედების საშუალებები, უნდა ითქვას ისიც, რომ პროექტში ფასწარმოქმნის პოლიტიკა განიხილება ფულად-საკრედიტო სისტემასთან ერთად, რაც არ უნდა იყოს გამართლებული.

რადგან სიტყვა ფულად-საკრედიტო სისტემაზე ჩამოვარდა იმთავითვე უნდა შევეხოთ იმ ტერმინოლოგიურ უზუსტობას, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით გვხვდება პროექტში. დოკუმენტში ლაპარაკია საბანკო-საკრედიტო სისტემაზე ქართული ფულის შემოღებით (კარი IV, მუხლი 33). როგორც ცნობილია, საკრედიტო სისტემა მოიცავს საბანკო სისტემასაც, ამდენად უმჯობესია ვიხმაროთ ტერმინი „ფულად-საკრედიტო სისტემა". პროექტის მიხედვით საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონმდებლობა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. ვფიქრობთ, უფრო ზუსტი იქნება შემდეგი ფორმულირება — „საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკი წარმოადგენს მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც ანგარიშვალდებულია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე". ქვეყნის ცენტრალური ბანკის სტატუსთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება თუ გავიზიარებთ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებას, სადაც ცენტრალური ბანკი მხოლოდ ნაწილობრივ არის სახელმწიფო. იგი ორგანიზებულია როგორც სააქციო საზოგადოება, სადაც აქციების გარკვეულ, არც თუ ისე მცირე ნაწილს ფლობენ სხვა ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები, კოოპერატიული და სხვა სამეურნეო ასოციაციები, პროფკავშირები, სამრეწველო კომპანიები. ამგვარი სტრუქტურა უზრუნველყოფს ცენტრალური ბანკის გარკვეულ დამოუკიდებლობას ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან.

ზემოთჩამოთვლილი შენიშვნებით ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ პროექტის ამომწურავ შეფასებაზე. თუმცა ერთი რამ ცხადია — დახვეწას საჭიროებს არა მხოლოდ დოკუმენტის ცალკეული დებულებები, არამედ მისი კონცეპტუალური მხარეც. განსაკუთრებით გულდასმით უნდა გადაისინჯოს პროექტის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის არსსა და მის ძირითად პრინციპებს შეეხება (კარი I). მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ დღევანდელი რეალიები, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივაც, რომელიც, დამეთანხმებით, არც თუ შორეული მომავალია.

**მერაბ კაკულია,**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" ეკონომიკური მიმომხილველი.**

# ნორჩ მხატველთა კონკურსზე

ამას წინათ ახმეტაში ჩატარდა ნორჩ მხაზველთა XXVIII რესპუბლიკური შეკრება, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის არქიტექტურისა და საინჟინრო გრაფიკის კაბინეტი.

ნორჩ მხაზველთა კონკურსებს 1956 წელს ჩაეყარა საფუძველი და მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში იგი მხოლოდ თბილისელ მოსწავლეებს უყრიდა თავს. 1963 წელს იგი რესპუბლიკური გახდა და მას შემდეგ ყოველ წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ტარდება ნორჩი მხაზველებისა და მათი პედაგოგების შეკრება.

ახმეტაში ერთ-ერთი საუკეთესო ხაზვის კაბინეტია მოწყობილი და წლევანდელი არჩევანიც ამით არის განპირობებული. შეკრება ორდღიანი იყო. პირველ დღეს მოეწყო ნორჩ მხაზველთა ნამუშევრების გამოფენა-გახსნა, რომელსაც ესწრებოდნენ ახმეტის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე ც. ფიცხელაური და რაიონის მთავარი არქიტექტორი. მათ ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრების შესახებ, შემდეგ მოეწყო ექსკურსია ახმეტის რაიონის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. შეკრების მონაწილენი იყვნენ ალავერდის ტაძარში, კვეტარის ციხე-სიმაგრეში, რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმში.

მეორე დღეს შესდგა საზეიმო დახურვა შეკრებისა, სიტყვით გამოვიდნენ შეკრების მასპინძლები: მეთოდკაბინეტის გამგე ცინო ფიცხელაური, ხაზვის პედაგოგი გოდერძი ცოცანიძე, სტუმრები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის დოცენტი, კონკურსების ერთ-ერთი ორგანიზატორი სულიკო ზარშაქაძე, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე გ. ხუტულაშვილი, ტექნიკის განყოფილების გამგე ნარი სვიანაძე, რომელიც შეკრებილთ ესაუბრა კონკურსების მნიშვნელობაზე. კონკურსების შედეგები შეაჯამა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის არქიტექტურისა და საინჟინრო გრაფიკის კაბინეტის გამგემ დიმიტრი მაჭავარიანმა.

სტუმრებმა სამადლობელი სიტყვა უთხრეს ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და მოსახლეობას, რომლებიც ორი დღის განმავლობაში ოჯახებში გულთბილად მასპინძლობდნენ შეკრების მონაწილეებს.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა კონკურსის ყველაზე ნორჩი მონაწილე თბილისის 124-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე ილია იმერლიშვილი. კონკურსის უმაღლესი ჯილდო გიორგი ნიკოლაძის პრიზი მიენიჭა ახმეტის I საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეს ნანა ძარღუაშვილს და ქუთაისის 39-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეს მაია ახალკაცს.

**ლელა ვარდიშვილი**

უზენაესი საბჭოს სესიის წინ

# ხელშეკრულება უნდა სრულდებოდეს

**ხვალ საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია სხვა დიდმნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, იმსჯელებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების თაობაზე რსფსრ უზენაესი საბჭოსადმი მიმართვის შესახებ, განიხილავს ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს, რომელთა შესახებაც თავის მოსაზრებებს გვიზიარებს ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე.**

ცნობილია, რომ 1920 წლის 7 მაისს დემოკრატიული საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის მთავრობათა წარმომადგენლებმა გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა მოსკოვში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიკაციის გარეშე, „თვით ფაქტის ძალით“ შევიდა ძალაში. ხელშეკრულებით რუსეთმა უარი თქვა საქართველოს მიმართ ოდინდელ უფლებებზე და ყოველი პირობის გარეშე სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოსა და რუსეთს, როგორც თანასწორუფლებიან და სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ახალი სამართლებრივი ურთიერთობანი დამყარდა. გაიცვალა ელჩები. რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში ს. კიროვი დაინიშნა, ხოლო საქართველოს მთავრობამ თავის წარმომადგენლობა მოსკოვში დამფუძნებელი კრების წევრს, სოციალ-დემოკრატ გერასიმე მახარაძეს მიანდო. საქართველომ განახორციელა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი (კომუნისტური ორგანიზაციების ლეგალიზაცია, უღელტეხილების ნეიტრალიზაცია და სხვ.) აღსანიშნავია ისიც, რომ 7 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე 1920 წლის 14 ნოემბერს თბილისში დაიდო სავაჭრო-სატრანზიტო შეთანხმება რსფსრ-ს, აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომლითაც მხარეებმა ერთმანეთს თავისუფალი ტრანზიტის უფლება მიანიჭეს.

დავსვათ კითხვა: არის თუ არა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი? მცირეოდენი იურიდიული განათლებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ამ კითხვაზე დადებითად ვუპასუხოთ.

დავიწყოთ იმით, რომ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს შეთანხმება არის საერთაშორისო პოლიტიკური ხელშეკრულება, რომელიც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის „მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობის“ დამყარების მიზნით დაიდო. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ამგვარი ხელშეკრულების დადება მხოლოდ სუვერენულ და თავისუფალ სახელმწიფოებს შეუძლიათ, რადგან დამოუკიდებელ ან ვისმე პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქვეყანას არა აქვს პოლიტიკური ხელშეკრულების დადების უფლება.

ხელშეკრულების დადების მომენტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მართალია, მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მიერ არ იყო ცნობილი, მაგრამ თითქმის ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა საბჭოთა ხელისუფლებაც რუსეთში. თავისთავად ეს გარემოება საქმეს არა ცვლის, — დე-ფაქტო-დ არსებულ მთავრობებს შეუძლიათ სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადება, რამდენადაც ისინი ნამდვილად ფლობენ ხელისუფლებას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არა მარტო დე-ფაქტო-დ არსებობდა, არამედ კანონიერადაც იყო დამტკიცებული. ნდობის მანდატი მას ხალხის ნების გამომხატველი, მრავალპარტიული სისტემით, დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული დამფუძნებელი კრების მიერ ჰქონდა მინიჭებული.

საერთაშორისო ხელშეკრულებები თავიანთი ხასიათით სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. მაგალითად: ტრაქტატი, კონვენცია, პაქტი, დეკლარაცია, კომუნიკე და სხვ. საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით, ხელშეკრულების დამდები მხარეები თავადვე არჩევენ შეთანხმების სახელწოდებას, რომელიც უმთავრესად მისივე შინაარსითაა განპირობებული. რუსეთ-საქართველოს შეთანხმება ორმხრივი სამშვიდობო (საზავო) ხელშეკრულებაა. ასეთი ხელშეკრულება, ჩვეულებრივ, წერილობით ფორმდება ორივე კონტრაჰენტის ენაზე.

როგორც ცნობილია, 7 მაისის ხელშეკრულება მხოლოდ ერთ — რუსულ ენაზეა შედგენილი, მაგრამ ამით საერთაშორისო სამართლის ნორმა არ დარღვეულა, რადგან საერთო წესით დადგენილი არ არის ხელშეკრულების სავალდებულო ენა. ზოგჯერ მხარეები ამჯობინებენ შეარჩიონ ერთ-ერთი ენა.

ამდენად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, როგორც ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის დადებული საზავო შეთანხმება, არის საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტი.

ამ ხელშეკრულების საერთაშორისო-სამართლებრივ სტატუსს სხვა ფაქტორიც განაპირობებს. სახელდობრ, მისი პრომულგაცია. საერთაშორისო ხელშეკრულებები ხელმომწერ მხარეთა მიერ, როგორც წესი, ქვეყნდება ოფიციალურ სამთავრობო გამოცემებში, პერიოდულ პრესაში, კრებულებში და სხვ.

7 მაისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. იგი ორივე სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებულია თავიანთ ოფიციალურ გამოცემებში. კერძოდ, 1920 წ. 9 მაისს ხელშეკრულების ტექსტი (დამატებების გარეშე, დამატებითი მუხლებით ხელმოწერილია 12 მაისს) გამოქვეყნდა „იზვესტიაში“ (№99). იმავე წლის ივლისში ხელშეკრულება სრულად დაიბეჭდა რსფსრ სამთავრობო კრებულში

«Собрание узаконений и распоряжений рабочего и крестьянского правительства».

(1920 წ. 9 ივლისი, № 64). (ამავე კრებულშია გამოქვეყნებული საბჭოთა რუსეთის 1920 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებები ესტონეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, პოლონეთთან).

1920 წლის ივნისში ხელშეკრულება საქართველოშიც გამოქვეყნდა: 6-8 ივნისს იგი დაიბეჭდა გაზეთ „ერთობაში“ (№ 125, 126), ხოლო 8 ივნისს მთავრობის ოფიციალურ ორგანოში — „საქართველოს რესპუბლიკა“ (№125).

7 მაისის ხელშეკრულება გამოქვეყნებულია ფრანგულ ენაზეც. 1924 წელს იგი დაიბეჭდა პარიზში, 1926 წელს კი ჟენევაში — ედგარ მილის ნაშრომში „საქართველო, რუსეთი და ერთა ლიგა“ („კომუნისტი“, 1989 წ. 17 აგვისტო).

ხელშეკრულების ავთენტიკურობის დასადგენად და იურიდიული ძალის მისანიჭებლად, ჩვეულებრივ, ხდება მისი რატიფიკაცია. მაგრამ საერთაშორისო სამართალი იცნობს ისეთ ხელშეკრულებებსაც, რომელთა ტექსტშივეა მითითებული — „ძალაში შედის რატიფიკაციის გარეშე“ (მაგ. 1840 წლის ლონდონის კონვენცია თურქეთისთვის დაუყოვნებლივ დახმარების თაობაზე ეგვიპტის აჯანყებული ფაშის წინააღმდეგ). ასევე არ საჭიროებდა რატიფიკაციას 7 მაისის ხელშეკრულებაც, რადგან იგი „თვით ფაქტის ძალით“ შევიდა კანონიერ მოქმედებაში. მიუხედავად ამისა, 1920 წ. 11 მაისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ იმსჯელა და მოიწონა იგი, რაც ხელშეკრულების კონფირმაციად შეიძლება ჩაითვალოს.

საერთაშორისო სამართალი აღიარებს, რომ ხელშეკრულება, თუ მისი მოქმედების ვადა განსაზღვრული არ არის, მუდმივად მიიჩნევა. მაგრამ ხდება ხელშეკრულების შეწყვეტაც მისი დენონსაციის ან ანულირების გზით. 7 მაისის ხელშეკრულებაში მინიშნებული არ არის მისი ხანგრძლივობის ვადა, ამდენად იგი უვადო ხელშეკრულებად უნდა მივიჩნიოთ. არ მომხდარა ამ ხელშეკრულების არც დენონსაცია და არც ანულირება, იგი ცალმხრივად იქნა დარღვეული.

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი Pacta Sunt servandas (ხელშეკრულებანი უნდა სრულდებოდეს) ავალდებულებს სახელმწიფოებს შეასრულონ ხელშეკრულებით ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებანი. ეს უძველესი პრინციპი აღიარებულია გაეროს წესდებით და ვენის 1968-69 წწ. კონვენციით, რომლებზეც სსრ კავშირს ხელი აქვს მოწერილი. ამ პრინციპის დარღვევა საერთაშორისო დელიქტს წარმოადგენს და პასუხისმგებლობა დამრღვევ მხარეს ეკისრება.

რუსეთმა დაივიწყა ეს პრინციპი, 1921 წლის თებერვალში ცალმხრივად დაარღვია საქართველოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება, შემოიჭრა სუვერენული საქართველოს ფარგლებში და მოახდინა მისი ოკუპაცია. თითქმის 9 თვის მოქმედების შემდეგ, უხეშად შეწყდა 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება, რისთვისაც პასუხისმგებლობა მხოლოდ საბჭოთა რუსეთს უნდა დაეკისროს.

საქართველოს აქვს უფლება დასვას 7 მაისის ხელშეკრულების აღდგენის საკითხი.

●

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში შეტანილია საკითხი საქართველოს რევკომის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების გაუქმების აქტების სამართლებრივი შეფასების თაობაზე. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ისტორიული უსამართლობის გასწორების თვალსაზრისით, არამედ როგორც ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე.

რევკომის დეკრეტები და აქტები, რომლებმაც გააუქმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, რითაც ფაქტობრივად ბოლო მოეღო ქართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, სამართლებრივი თვალსაზრისით უკანონოა. იურიდიულ საფუძველს მოკლებული იყო თავად საქართველოს რევკომის არსებობაც. იგი „მენშევიკების კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ხალხის მასების აჯანყების ცეცხლიდან და კვამლიდან გამოსული“ კი არ ყოფილა, როგორც თვითონ ამტკიცებდა, არამედ შექმნილი იყო რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მითითებით და შულავერში მდგომი XI წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებით 1921 წლის 16 თებერვალს. რევკომს არ გააჩნდა ქართველი ერის ნდობის მანდატი, იგი „მუშურ-გლეხური საქართველოს“ ინტერესების ერთად-ერთი გამომხატველის როლსაც უსამართლოდ ითვისებდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს რევკომი თბილისში 26 თებერვალს შემოვიდა, მას შემდეგ, რაც ქალაქი რუსეთის სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს, აქ სამხედრო მდგომარეობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადეს“. ქალაქი ტფილისი ბურჟუაზიის უკანასკნელი სიმაგრე დაეცა და საქართველო გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკად“ — ნათქვამია XI არმიის თბილისის მიმართულების ჯგუფის უფროსის მ. ველიკანოვის ბრძანებაში ლაშქრისადმი, რომელიც 25 თებერვალს გამოქვეყნდა.

საქართველოს რევკომის პირველი დეკრეტი ამნისტიის შესახებ იმდენად ჰუმანური და უწყინარი იყო, რომ ძნელია ეჭვი შეიტანო მის შემომქმედთა სათნოებაში, მაგრამ როცა ეცნობი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკთა მიერ კლასობრივი ნიშნით მოწყობილ კაცთმოძულე სისხლიანი აქციების შედეგებს, ყველაფერი თავდაყირა დგება და რწმუნდები, რომ მათი I დეკრეტი მხოლოდ თვალთმაქცობა და ბოლშევიკთათვის ჩვეული „ლამაზი“ სიტყვა იყო. „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური მთავრობა მოკლებული შურისძიების ყოველ გრძნობას თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ“, — ვკითხულობთ დეკრეტში — აცხადებს ყველა პოლიტიკური პარტიის, ჯგუფების და პირების ამნისტიას. „ამ ამნისტიის ძალით არც ერთი წევრი ამგვარი პოლიტიკური პარტიების, და საერთოდ არავინ, არ უნდა იქნეს დატუსაღებული, მიცემული სამართალში და ადმინისტრაციულად დევნილი იმ ბოროტი მოღვაწეობისათვის, რომელიც მიმართულ იყო საბჭოთა ძალაუფლების და საქართველოს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ“. მეორე დღეს, რევკომის სპეციალური ბრძანებით კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასა და საბოტაჟთან საბრძოლველად შეიქმნა საქართველოს საგანგებო კომისია..: ბოლშევიკთა სიტყვა და საქმე, როგორც ცა და დედამიწა ისე დაშორდნენ ერთმანეთს.

რევკომის შემდეგი დეკრეტით გამოცხადდა დემობილიზაცია და დათხოვნილ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმია და სახალხო გვარდია. თუმცა ქართული საარმიო შენაერთები ერთბაშად არ დაშლილა. ცნობილია, რომ ამ დეკრეტის გამოქვეყნებიდან თითქმის სამი კვირის შემდეგ, თვით ბოლშევიკთა წინადადებით, გენერალმა გ. მაზნიაშვილმა ქართული ჯარის ნაწილების მეშვეობით ბათუმი თურქთა ხელიდან გამოიხსნა.

დეკრეტი № 6-ით (1921 წ. 22 მარტი) გაუქმებულ იქნა სენატი და სასამართლოს სხვა დაწესებულებანი (სასამართლო პალატა დეპარტამენტებით, სამხედრო სასამართლო, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კანონთა გადამსინჯავი კომისია და სხვა) როგორც „კლასობრივ პრინციპებზე აგებულნი“, რომლებიც „არ შეესაბამებიან ფართო მშრომელი მასის მოთხოვნილებებს და ვერ უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების სისწორით განხორციელებას“.

„საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის ამა წლის 1921 წლის მარტის 24-ის დადგენილების თანახმად საქართველოს დამფუძნებელი კრება დათხოვნილია“, — იუწყებოდა დეკრეტი № 7, რომელსაც ხელს აწერდნენ რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და მდივანი შ. გაბრიჩიძე. ასე, „რევოლუციური დროის კანონით“ გააუქმეს ერის ნების გამომხატველი საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც ჭეშმარიტად დემოკრატიულ საფუძველზე იყო არჩეული. ამ კრების უკანასკნელი სხდომა 1921 წლის მარტში გაიმართა ბათუმში. კრებამ დროებით შეაჩერა საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება და მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრები, როგორც „კრების იურიდიული გამოხატულება“, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან ერთად მისიით გაგზავნა უცხოეთში სამუშაოდ.

1921 წლის 21 აპრილს საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ, რითაც გააუქმა დემოკრატიული რესპუბლიკის სამინისტროები და სანაცვლოდ შექმნა სახელმწიფო მმართველობის ახალი ორგანოები — სახალხო კომისარიატები.

მალე რევკომმა კიდევ ერთი დეკრეტი გამოსცა, რომლითაც გააუქმა დემოკრატიული საქართველოს ეროვნული სიმბოლოები — შვინდისფერი დროშა შავ-თეთრი ზოლით და ღერბი — ცხენოსანი თეთრი გიორგი, შვიდი მნათობითურთ. 1921 წლის 20 მაისს გამოქვეყნებულ დეკრეტში № 36 ნათქვამია: „ვინაიდან 1921 წლის თებერვლის 25-დან საქართველოში დამყარდა **საბჭოთა ხელისუფლება ე. ი. მშრომელთა დიქტატურა**, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი სამუდამოდ გაუქმებულად აცხადებს ბურჟუაზიული წესწყობილების ყველა ემბლემებს, როგორიც იყო სამფეროვანი დროშა და ძველი ღერბი“.

ვერ გააუქმა რევკომმა სამუდამოდ სამფეროვანი დროშა. თითქმის შვიდი ათეული წლის შემდეგ ეროვნულმა დროშამ კვლავ მოუხმო და დარაზმა საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლი ძალები. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ძნელ გზაზე ხვალინდელი სესიის გადაწყვეტილებანი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

**ოთარ ჯანელიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## უზენაესი საბჭოს სესიის წინ

# საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის მიმართვა

**საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს**

საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ, განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 20 ივნისის რიგგარეშე სესიის დღის წესრიგი და გამოქვეყნებული კანონპროექტები, წარმოგიდგენთ ჩვენს შენიშვნებსა და მოსაზრებებს:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსაგან საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირება ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რადგან ეს გამოიწვევს რთულ პროცესებს, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მოძრაობას შეიძლება ახალი საფეხურისკენ წაიყვანს.

2. რთულ, გარდამავალ პერიოდში მუშაობასთან დაკავშირებით, მომავალი პარლამენტი უნდა გაფართოვდეს 500 კაცამდე. სამასი დეპუტატი უნდა აირჩეს ძველი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, ხოლო 200 — პროპორციული საარჩევნო სისტემით. საარჩევნო კანონში უნდა მოხდეს ამ ორი სისტემის სინთეზი და არჩევნები ჩატარდეს ერთდროულად.

3. საქართველოს განესაზღვროს ოკუპირებული, ანექსირებული ქვეყნის სტატუსი — კოლონია — საქართველოს სსრ.

4. მოსაზრებები კანონპროექტზე საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ:

კანონის პრეამბულაში და შემდგომ მთელ ტექსტში საქართველოს რესპუბლიკა უნდა განიხილებოდეს არა როგორც სუვერენული სახელმწიფო სსრკ-ს შემადგენლობაში, არამედ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მუხლი 8. უნდა დაემატოს: სახელმწიფო ბანკების და ... ორგანოების ... სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით.

აქვე: ამოსაღებია ბოლო აბზაცი, რადგან ცალკეულ დარგთა საწარმოების მართვის უფლების გადაცემა სსრკ-ს ორგანოებისათვის უნდა შედიოდეს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში და რეგულირდებოდეს სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით (იხ. მუხლი 6).

მუხლი 14: ამოსაღებია ბოლო ორი აბზაცი, რადგან ინდივიდუალური საკუთრების ... უნდა ... კანონში ... საკუთრების შემთხვევაში ... შრომის ... აკრძალვას.

მუხლი 28 უნდა შეიცვალოს, რადგან კანონში შემოდებულია „დაცვის" უფლების მონოპოლია უკანონოდება სახელმწიფო პროფკავშირს.

მუხლი 31 და 32 უნდა შეიცვალოს, რადგან საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაა ... საქართველოს ... ეკონომიკური ... და ... სახელმწიფო ... უნდა ...

მუხლი 33: ამოსაღებია ბოლო აბზაცი, რადგან სსრკ-სთან, სსრ რესპუბლიკებთან საერთო საკავშირო პროგრამებში და ფონდებში ... უნდა ... სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე (მუხლი 31, 32).

მუხლი 34: ამოსაღებია ბოლო აბზაცი, რადგან სსრკ ბიუჯეტთან ურთიერთობა უნდა განისაზღვროს სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. მუხლი 6).

კანონში უნდა აისახოს გლეხისთვის მიწის მუდმივ სარგებლობაში გადაცემის დაკანონება.

ჩვენი აზრით, საერთოდ კანონი სრულად არ ასახავს საქართველოს სუვერენულ უფლებებს და განიხილავს საქართველოს ეკონომიკას საერთო საკავშირო სამეურნეო კომპლექსში. მოცემული კანონი ემყარება რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკავშირო მთავრობის პროგრამას, რომელსაც ჩვენ არსებითად არ ვეთანხმებით. მიგვაჩნია, რომ მოცემული კანონი ზემოაღნიშნული შესწორებებით შეიძლება მიღებულ იქნას, როგორც დროებითი კანონი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველი ეტაპისთვის. ასევე სინანულით გვინდა აღვნიშნოთ ჩვენი ეჭვი, რომ არსებულ სტრუქტურებში და დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში კანონი პრაქტიკულ განხორციელებას ვერ ნახავს.

5. საქართველოს ტერიტორიაზე ძირითად საკავშირო კანონებთან ერთად, შესაჩერებელია კანონი მოსახლეობის შემოსავლების დაბეგვრაზე, რომელიც ძალაში შედის ა/წ 1 ივლისიდან და კანონი საწარმოებისა და კოოპერატივების დაბეგვრის შესახებ, რომელიც დაბეგვრის ნორმად ითვალისწინებს მოგების 45 პროცენტს. საკუთარი ეკონომიკური და სადაბეგვრო პოლიტიკის შემუშავებამდე ამ კანონების ამოქმედება მკვეთრად იმოქმედებს ეკონომიკურ პოტენციალზე, შეამცირებს სტიმულირებას, განსაკუთრებით დააზარალებს მოსახლეობას, რომელთა შრომით ანაზღაურებას აქვს პერიოდული ხასიათი ჰონორარებისა და ავანსების სახით, არენდატორებს, ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომის მუშაკებს.

# კოლექტივი კი ბჭობდა...

**ბოლო** წლების განმავლობაში სოხუმის ნავთობბაზაში შექმნილმა არაჯანსაღმა ვითარებამ განაპირობა ის, რომ ბაზის კოლექტივის საერთო კრებამ, გაითვალისწინა რა აფხაზეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარება, მიიღო გადაწყვეტილება, არსებული კანონის შესაბამისად ჩატარებულიყო კონკურსი დირექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. გადაწყვეტილება გაეცნო საქართველოს სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობას (თავმჯდომარე ბაჩვა ლობჟანიძე) და მასთან შეთანხმების შემდეგ ა. წ. 25 მაისის გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში" გამოქვეყნდა განცხადება სოხუმის ნავთობბაზის დირექტორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის შესახებ.

შექმნილმა საკონკურსო კომისიამ დადგენილი ვადის განმავლობაში მიიღო ხუთი კანდიდატის განცხადება. კანდიდატთა სიას და მათ შესაბამის საბუთებს ა. წ. 8 ივნისს გაეცნო საქართველოს სათბობის სახელმწიფო კომიტეტის კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე ნოდარ საბანაძე. საქართველოს სათბობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დირექტორის არჩევნები დაინიშნა ა. წ. 20 ივნისს. მიუხედავად ამისა, ა. წ. 13 ივნისს სოხუმის ნავთობბაზაში გამოცხადდა დირექტორი ვინმე მერაბ ძიაფშიფა (მისი განცხადება არ შემოსულა საკონკურსო კომისიაში). მას თან ახლდა სოხუმის ქალაქკომის ინსტრუქტორი ლაფშოვი და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. გუბაზი. ჩვენთვის უცნობი პირების თანხლებით, მათ ფანჯრიდან შეაღწიეს დირექტორის კაბინეტში და მოითხოვეს ბაზის თანამშრომელთა დასწრება, რათა გაეცნობოდნენ საქართველოს სახელმწიფო სათბობის კომიტეტის ბრძანებას ძიაფშიფას დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. ამ ფაქტით გაოგნებული თანამშრომლები არ დაემორჩილნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს, რამაც გამოიწვია არასასიამოვნო ინციდენტი, კერძოდ ვინმე ვ. ბჟანიამ ჯერ სცემა და მერე გასისხლიანებულ სოხუმის ნავთობბაზის მთავარ ბუღალტერს ს. ყურაშვილს მუქარის ქვეშ წააკითხა საქართველოს სახელმწიფო სათბობის კომიტეტის ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს ხსენებული კომიტეტის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ელგუჯა გვენცაძე.

**სოხუმის ნავთობბაზის ლაბორატორიის თანამშრომლები**

**სულ 19 ხელისმოწერა**

**რედაქციისაგან:** **რეპლიკა უცვლელად იბეჭდება, თუმცა, შესაძლებელია, მასში ზოგი ფაქტი შემდგომ დაზუსტებასა და გამორკვევასაც მოითხოვს. მხოლოდ ბოლო წინადადება შეგნებულად გადავშალეთ (ამისათვის ავტორებს ბოდიშს ვუხდით), რომელშიც სოხუმის ნავთობბაზის ლაბორატორიის თანამშრომლები მკვეთრ შეფასებას აძლევდნენ საქართველოს სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელთა მოქმედებას. ამოვშალეთ იმის იმედით, რომ კომიტეტისაგან მივიღებთ დასაბუთებულ პასუხს.**

# განხეთქილება თუ გზა ერთიანობისაკენ?

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის ურთიერთდამოკიდებულება გამწვავებულია, გვინდა ვირწმუნოთ, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ამჟამად დაუდგა გარდამტეხი მომენტი, შეიქმნა განხეთქილების საშიშროება, აუცილებლად მიაღწევს დასახულ მიზანს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში „განხეთქილების" მიზეზი, ასე რომ გაახარა რედაქციონერები, ჩემი აზრით, ზერელე, ზედაპირული გამოსახულებაა გაერთიანების ფორმის ძიების უფრო სიღრმული პროცესისა, რომელსაც გვიკარნახებს არა რომელიღაც პარტია, ანდა რომელიმე ლიდერი, არამედ სამართლიანი ისტორიული უცილებლობა. სასურველია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდეს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ, რასაც მეტად ართულებს ჯეროვანი პოლიტიკური კულტურის უქონლობაც. ბევრს ჯერაც ვერ გაუცნობიერებია ერთი უბრალო ჭეშმარიტება: პოლიტიკური კულტურა არის ზოგადეროვნული კულტურის ნაწილი და მისდამი აგდებული დამოკიდებულება, სხვა რომ არა ვთქვათ რა, უტაქტობაა ქართველი ერის მდიდარი კულტურის მიმართ. ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა არაეთიკური საქციელი სახელს უტეხს უწინარეს ყოვლისა არა იმ დაჯგუფებებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, მთელ სახალხო-დემოკრატიულ, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ურთიერთგაგების იმედი შეიძლება გქონდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ თავად სცემ პატივს თანამოსაუბრის აზრს. მხოლოდ მეორე მხარის მიერ ჩვენგან განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლების აბსოლუტური აღიარება იხსნის საქართველოს კონფრონტაციისაგან, გაგვიადვილებს ჩვენი საერთო მიზნის მიღწევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ყოველმა მცხოვრებმა, მისი ეროვნული თუ სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიუხედავად, უნდა შემატოს თავისი წვლილი კონსოლიდაციის საქმეს. მხოლოდ გაერთიანებული ძალისხმევით გადავწყვეტთ დამოუკიდებელი, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების ამოცანას. ამჟამად ჩვენი ასოციაციის წევრები ამუშავებენ საზოგადოებრივი ხელშეკრულების პროექტს, რომლის დადება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გახდეს ერთიანობის გზაზე. ჩვენ ფართო განხილვისათვის გამოგვაქვს „ხელშეკრულების" პროექტის ზოგიერთი მუხლი. გთხოვთ, თქვენი შენიშვნები და დამატებანი გამოგვიგზავნოთ მისამართით: **380062, ქ. თბილისი, ყიფშიძის ქუჩა, 10, ბ. 38. „ეროვნული თანხმობის" ასოციაციის რედაქცია, კ. ოვჩარენკო. საკოორდინაციო ტელეფონები: 96-15-14, 23-27-49, 96-55-86. რუსეცკი, რამიშვილი, მაჭარაძე.**

**საზოგადოებრივი ხელშეკრულება**

**(პროექტის ცალკეული მუხლები)**

**1. ხელშეკრულების მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღსადგენად, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად ქართველი ხალხის ბრძოლა კანონიერი და სამართლიანია.**

**2. ხელშეკრულების მონაწილენი ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმირებას მოუწოდებენ დაამყარონ პატივისმცემლური და ტაქტიანი ურთიერთობა.**

**3. ხელშეკრულების მონაწილენი აუცილებლად მიიჩნევენ თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი კონფლიქტი (როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმირებებს, ისე სხვადასხვა სოციალური თუ ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლებს შორის). ითვალისწინებენ რა „მხარეების" ზოგიერთ უთანხმოებას, ხელშეკრულების მონაწილეებს დასაშვებად მიაჩნიათ ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელთა მეშვეობით შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტური სიტუაციები, რათა გამოიტანონ გადაწყვეტილება, რომელიც ყველა „მხარეს" დააკმაყოფილებს. ხელშეკრულების მონაწილენი იზიარებენ იმას, რომ კონფლიქტის დაუშვებლობის ან გადაწყვეტისათვის აუცილებელია ერთმანეთისაგან ვანსხვავებდეთ გარეგნულ საბაბს და მისი წარმოშობის ჭეშმარიტ მიზეზს, ვითვალისწინებდეთ „მხარეების" საერთო ინტერესებს, რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესებს.**

**4. ხელშეკრულების მონაწილენი აღიარებენ, რომ საჯარო შეურაცხყოფა, „იარლიყების მიწებება" ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმირებების, მათი წარმომადგენლების, ლიდერებისათვის დაუშვებელია.**

**5. ხელშეკრულების მონაწილეებს კარგად ესმით, რომ ამჟამად რესპუბლიკის მცხოვრებნი დაყოფილი არიან საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისადმი თავიანთი დამოკიდებულების გამო.**

**6. ხელშეკრულების მონაწილენი მოუწოდებენ რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს პატივი სცენ წინაპართა ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, საკაცობრიო ღირებულებებს და არ აჰყვნენ პროვოკაციებს, რომლებსაც აწყობენ რეაქციული ძალები, ამასთან, მიიღონ აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკის სახალხო-დემოკრატიულ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.**

**7. ხელშეკრულების მონაწილენი არ ცნობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ვიწროპარტიულ და პიროვნულ ინტერესებს საქართველოს სახალხო-დემოკრატიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებზე მაღლა აყენებენ და გაავრცელებენ რესპუბლიკაში დეზინფორმაციას, რომელიც მიზნად დაისახავს სახელი გაუტეხოს ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმირების წევრებს, მთლიანად მოძრაობას.**

**8. ხელშეკრულების მონაწილეებს პასუხისმგებლობა აკისრიათ სახალხო-დემოკრატიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე, მთელი ქართველი ხალხის წინაშე.**

ივნისის შუა რიცხვებში (ზუსტი თარიღი დამატებით გამოქვეყნდება) გავმართავთ კონფერენციას, რომელზეც მოვიწვევთ დელეგატებს — რესპუბლიკის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმირების წარმომადგენლებს.

**ალექსანდრე რუსეცკი,**
**ასოციაცია „ეროვნული თანხმობის" პრეზიდენტი.**

---

**უკანასკნელ** დღეებში ჩვენი პრესის ფურცლებზე (გაზეთები „თბილისი", „ახალგაზრდა ივერიელი", „მამული", „ქართული ფილმი") გამოქვეყნდა რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებშიც ეჭვის ქვეშ არის დაყენებული ეროვნული კონგრესის აუცილებლობა და მისი არჩევნის მექანიზმი. სამწუხაროა, რომ ამ პუბლიკაციათა ავტორები არიან არა ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის გარეთ მყოფი რამდენიმე, საკმაო ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ეროვნული პარტია, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა 165 კაციანი ჯგუფი, თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის 80 თანამშრომელი და სხვები.

გამოვდივართ რა იქიდან, რომ არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ პუბლიკაციათა ავტორების გულწრფელობაში, ამ წერილებს მივიჩნევთ სამწუხარო გაუგებრობის შედეგად და დარწმუნებული ვართ, ეროვნული კონგრესის იდეის გულდასმით განხილვისა და გააზრების შემდეგ ისინი აუცილებლად შეიცვლიან თავიანთ პოზიციას. არსებული ვითარება კი იმის შედეგია, რომ ეროვნული კონგრესის არჩევნების მომხრეებმა ეს ყოველმხრივ არგუმენტირებული და ჭეშმარიტი იდეა სრულყოფილად ვერ მიიტანეს ქართველ საზოგადოებამდე.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული კონგრესის არჩევნების იდეა არც ციდან ჩამოვარდნილა და არც ვინმეს ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. იგი აღებულია საქართველოს ისტორიიდან, კერძოდ 1917-1918 წლების გამოცდილებიდან, როცა მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი ფართო საზოგადოებისათვის უცნობია. ანდა დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს ბატონ უშანგი სიდამონიძის წერილს „ეროვნული საბჭო — საქართველოს პარლამენტი" 1990 წლის 26 მაისის გაზეთ „კომუნისტში".

აქ კი ძალზე მოკლედ ამის შესახებ: 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოშიც მოხდა გადატრიალება და ძალაუფლება გადავიდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში. ამ საბჭოებში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები წარმოადგენენ, რომლებიც არ იყვნენ დაინტერესებული საქართველოს დამოუკიდებლობით.

ასეთ ვითარებაში, 1917 წლის მარტში ეროვნულ-დემოკრატებმა წამოაყენეს იდეა, რომ შექმნილიყო ზეპარტიული ერთიანი ქართული ორგანო, სადაც უნდა შემუშავებულიყო ეროვნული ძალების მოქმედების ერთიანი გეგმა.

1917 წლის ზაფხულში სამთავრობო კომიტეტისა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების პარალელურად ეროვნულმა ძალებმა შექმნეს ინტერპარტიული საბჭო, სადაც შევიდნენ ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალები. ამ საბჭოსთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი შევარდნაძე და სხვები.

ინტერპარტიულმა საბჭომ უდიდესი ეროვნული საქმეები განახორციელა. მაგალითისათვის დავასახელებ თუნდაც ქართული საფერიცვალი ეროვნული დროშის შემუშავებას, რომელიც ხშირად მენშევიკურ დროშად მიაჩნიათ. ამავე საბჭომ მოამზადა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელიც გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს. ყრილობას ესწრებოდა 324 დელეგატი გადამწყვეტი და 19 დელეგატი სათათბირო ხმით. ყრილობაზე არჩეული იქნა 60 კაცისაგან შემდგარი ეროვნული საბჭო, რომელიც შემდგომ კოოპტაციის წესით 150-მდე გაიზარდა. ეროვნულმა საბჭომ ჩაატარა უდიდესი მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოს დამოუკიდებლ-

# რისთვის არის საჭირო ეროვნული კონგრესის არჩევნები?

ობის აღსადგენად. ეროვნულ საბჭოსთან შეიქმნა სხვადასხვა კომისიები: ქონების, სამხედრო, საფინანსო, ადმინისტრაციული, სასკოლო და ხელოვნების, სახალხო მეურნეობის და ა. შ. ყველა ამ კომისიასთან შეიქმნა „საქმის მცოდნეთა" ჯგუფები, რითაც ქართული პროგრესული ინტელიგენცია აქტიურად იქნა ჩართული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ეს იყო საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება და ის უძღვებოდა ეროვნულ, ჯერ ოფიციალურად გამოუცხადებელ სახელმწიფოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეროვნულ საბჭოში უმრავლესობას შეადგენდნენ სოციალ-დემოკრატები, საბჭოს თავმჯდომარეც სოციალ-დემოკრატი (აკაკი ჩხენკელი) იყო, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი საბჭოს მიეღო ერისათვის სასიცოცხლო გადაწყვეტილებები, რადგანაც მისი წევრები საბჭოში თავიანთი პარტიული ინტერესებით კი არ მოქმედებდნენ, არამედ მთელი ქართველი ხალხის მისწრაფებას გამოხატავდნენ. ეროვნული საბჭოს მუშაობას, მიუხედავად მცირერიცხოვნებისა (10 კაცი) წარმართავდნენ ეროვნულ-დემოკრატები.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარმა დატოვა ამიერკავკასია, ეროვნულ საბჭოში შემუშავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს.

ვფიქრობთ, ისტორიის ეს ფურცლები უაღრესად მრავლისმეტყველია და დამოუკიდებლობის ბედნიერი სამი წელი კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

თუკი ერთმანეთს შევადარებთ საქართველოს ისტორიაში ამ ორ ეროვნულ ყრილობას, ნათლად ვნახავთ, თუ რარიგ აბსურდულია უნივერსიტეტის 165 სტუდენტისა და სხვების მიერ გამოთქმული აზრი ეროვნული ყრილობის უკანონობის შესახებ.

თუკი 324 დელეგაციისაგან შემდგარმა პირველმა ეროვნულმა ყრილობამ ფაქტობრივად აირჩია ეროვნული პარლამენტი, რომელმაც შემდომში უდიდესი საქმე გააკეთა — აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა, 6500 დელეგატისაგან შემდგარ ეროვნულ ყრილობას, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 42 პოლიტიკური პარტია და საზოგადოება, სადაც წარმოდგენილი იყო ყველა რეგიონი და არაქართველი მოსახლეობაც, უდავოდ ჰქონდა უფლება დაენიშნა დემოკრატიული, საყოველთაო არჩევნები ეროვნული კონგრესის ასარჩევად. წარმომიდგენია, რა ყიჟინს დასცემდნენ ერის კონსოლიდაციის მოწინააღმდეგე ძალები, ეროვნულ ყრილობას პირდაპირ ყრილობაზევე აერჩია ეროვნული კონგრესი, როგორც ეს 1917 წელს მოხდა.

რასაკვირველია, ყრილობა სასწრაფოდ მომზადდა, მაგრამ ესეც პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული. საბოლოოდ, ყრილობაზე იყო ის, ვინც დაინტერესებულია საქართველოს მომავლით და ზოგიერთი პარტიის მიერ მასში მონაწილეობისათვის თავის არიდებას არავითარი გამართლება არა აქვს.

აქვე უნდა შევნიშნო ისიც, რომ არასწორ ინფორმაციას ემყარება ბატონ აკაკი ბაქრაძის განცხადება გაზეთ „მამულში", რომ ყრილობაზე მოსული დელეგატები ვერ ერკვეოდნენ პოლიტიკურ სიტუაციებში და თითქოს მქუხარე ტაში დასცხეს აფხაზი დელეგატის სიტყვებზე აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ. ვისაც ზუსტად ახსოვს ეს ეპიზოდი (არსებობს დოკუმენტური ფირი), დამეთანხმება, რომ დარბაზი, მართალია, მხურვალედ მიესალმა აფხაზ დელეგატს, რითაც გამოხატა თავისი კეთილგანწყობა აფხაზურ-ქართული დიალოგის მიმართ, მაგრამ ძალზე თავშეკავებულად შეხვდა და სტუმრისადმი პატივისცემის ქართული ტრადიციის გამო არ შეიმჩნია აფხაზი დელეგატის განცხადება, თუმცა მისი მცდარობა იმ წუთსავე ყველასათვის ცხადი იყო.

23-25 მაისს ჩატარებული ეროვნული ყრილობის უდიდესი მნიშვნელობა იმაშია, რომ აქ პირველად იქნა მიღწეული უმნიშვნელოვანესი კონსენსუსი ეროვნულ ძალებს შორის. მართალია, თავიდან ქართული ეროვნული მოძრაობა წვრილპარტიულად იყო დაქსაქსული, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოიკვეთა ერთი დაპირისპირება — საბჭოური სტრუქტურების გამოყენების საკითხში. რადიკალური ოპოზიცია უარყოფდა საბჭოურ სტრუქტურებს, ხოლო ზომიერი ოპოზიცია მის გამოყენებას აუცილებლად მიიჩნევდა.

ყრილობაზე ქართული პოლიტიკური ცნობიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ორი მიმართულება არა თუ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ **ერთი მთელის ორ მხარეს წარმოადგენს.** რომ ცალცალკე არც ერთის არსებობა გამართლებული არ არის.

ეროვნული კონგრესი იქნება ქართველი ერის თავისუფალი ნების გამომხატველი. თუ რა უნდა ქართველ ერს — ეს სავსებით ნათელია და გამოვლინდა მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან მანიფესტაციებში, მასობრივ შიმშილობებში, გაფიცვებში, 9 აპრილის და ა. შ. — ქართველ ერს სურს სრული დამოუკიდებლობა. რომ გვქონდეს მხოლოდ ეროვნული კონგრესი და მან დაიწყოს დამოუკიდებლობისათვის რეალური ბრძოლა, ქართველი ხალხის თავისუფალი ნება აუცილებლად იქნება შებღალული, რადგანაც ბრძოლის დროს აუცილებელი ხდება კომპრომისი. თუ კონგრესი არ იქნება ხელისუფლების მქონე, მაშინ იმპერია მის ნებაზე ვერ იმოქმედებს. კონგრესი იქნება ერთგვარი ჯერარსი, ანუ ის, თუ როგორი უნდა იყოს იდეალში ქართველი ხალხის ნება.

ამდენად, ოკუპაციის პირობებში, ანუ ვიდრე საქართველოში არიან საოკუპაციო ჯარები, ან არ არის მიღწეული შეთანხმება ამ ჯარების შესახებ, **ეროვნულმა კონგრესმა, რომც შეეძლოს, მაინც არ უნდა აიღოს ხელში ძალაუფლება,** რითაც იგი აიცდენს იმპერიის ზეწოლას და კომპრომისებზე წასვლას.

მაგრამ ამ ფაქტიდან, რომ კონგრესმა არ უნდა აიღოს ხელისუფლება, გამომდინარეობს ისიც, რომ ერს ოკუპაციის პირობებში სჭირდება თავისი ინტერესების დამცავი ხელისუფლების ორგანო, რომელიც იმუშავებს რა იმპერიის მიერ თავს მოხვეულ სტრუქტურებში, იბრძოლებს ერის განთავისუფლებისათვის.

აქედან გამომდინარე გადაწყდა, რომ საკოორდინაციო ცენტრის ლიბერალური ნაწილი აუცილებელ მონაწილეობას მიიღებს ოკუპაციის პირობებში ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში, სადაც შექმნის საპარლამენტო ოპოზიციას. ასეთი ორგანო არის სწორედ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, რომელიც თავისი სახელითაც გამოხატავს ერისათვის თავს მოხვეულ იმპერიულ სტრუქტურებს. მისთვის სახელის გადარქმევა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს და ასეთ მოთხოვნას მხოლოდ ისინი აყენებენ, ვისაც რცხვენიათ საბჭოურ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუმცა კი ძალაუფლების ხელში აღება ენატრებათ.

უზენაეს საბჭოში შესულ ეროვნულ ძალებს ხელფეხი ექნებათ გახსნილი უკომპრომისო ბრძოლისათვის, ამ ბრძოლაში ყოველთვის შეეძლებათ იმპერიის წინაშე გარკვეულ დათმობებზე და ტაქტიკურ უკუსვლებზე წასვლა, რადგანაც იმპერიის ზეწოლის დროს საშუალება ექნებათ განაცხადონ, რომ ქართველი ერის ნებას ისინი კი არ გამოხატავენ, არამედ ხალხის მიერ არჩეული ეროვნული კონგრესი. ეროვნული კონგრესი იქნება ის გარანტი, რითაც ერი თავს დაიცავს იმპერიის მიერ თავს დატეხილი ძალადობისაგან.

ამგვარად, ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრში შემავალი ძალების ერთი ნაწილი აუცილებელ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში. ნიშანდობლივია, რომ ცენტრის ერთთვიანი მუშაობის შემდეგ უკვე დაისახა შესაძლებლობა ცენტრში შემავალმა ლიბერალურმა ძალებმა **ერთიანი ეროვნული ფრონტის** სახით მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში და შექმნან იქ საპარლამენტო ოპოზიცია.

თუ გავიზიარებთ ეროვნული ძალების მიერ მიღწეულ ამ კონსენსუსს, გაუგებარი ჩანს, თუ რატომ არიდებენ თავს საკოორდინაციო ცენტრში შესვლას ისეთი პარტიები და ორგანიზაციები, როგორიცაა რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, სახალხო ფრონტი, რუსთაველის საზოგადოება და სხვები. ვფიქრობთ, აქ ელემენტარულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ამის მაგალითია თუნდაც ის ყოვლად დაუსაბუთებელი და მთელი ეროვნული მოძრაობის შეურაცხმყოფელი ბრალდება, რითაც გამოვიდნენ ეროვნული კონგრესის წინააღმდეგ რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის წარმომადგენლები გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" (7, VI-90). მათი აზრით, ეროვნული კონგრესი ახდენს ხელისუფლების უზურპაციას და წარმოადგენს ლენინის მიერ შექმნილი პროლეტარიატის დიქტატურის მსგავს ორგანოს?!

დარწმუნებული ვარ, ამ სტრიქონების დამწერთა შთამომავლობა სირცხვილით დაიწვება თავიანთი პოლიტიკოსი წინაპრების მიერ ეროვნული კონგრესის ასეთი უპასუხისმგებლო და აბსურდული ბრალდების გამო. მაგრამ ვფიქრობ, მათი ეს განცხადება წინასწარ აკვიატებული ცრურწმენის შედეგია საკოორდინაციო ცენტრში ვინმეს დიქტატის შესახებ. ამ ცენტრში უკვე ისახება უაღრესად დემოკრატიული, საკმაოდ გონებაგამჭრიახი ეროვნული პარლამენტის ნიშნები. ამიტომ, მეგობრებო, მოდით, შორიდან შეძახილებს თავი დავანებოთ, ყველაზე ჰკვიანებადაც ნუ წარმოვიდგენთ თავს და ერთი-ორჯერ მეთვალყურედ მაინც მოვიდეთ ცენტრის სხდომაზე.

ეროვნული კონგრესის იდეის გაუგებრობის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ ყრილობაზე კონგრესის მიზნების შესახებ აზრთა ერთსულოვნება არ ყოფილა. გაისმა ცალკეული ხმები ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს ალტერნატიულობის შესახებ. ხმათა დიდი უმრავლესობით ყრილობაზე ეს მოსაზრება უარყოფილ იქნა, მაგრამ მათ ავტორებს დღესაც ასე ესმით კონგრესის მიზნები და ამის საჯარო განცხადებით შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება, რითაც სურთ მათ ეს თუ არა, ფაქტობრივად შლიან კონგრესის არჩევნებს. საქმე ისაა, რომ თუ საკითხს ასე დავსვამთ: ან კონგრესი, ან უზენაესი საბჭო, მაშინ იშლება განსხვავება ეროვნული კონგრესის იდეასა და მრგვალი მაგიდის კონცეფციას შორის. ორივე შემთხვევაში საქმე გვექნება ოკუპირებულ ქვეყანაში ძალაუფლებისადმი სწრაფვასთან. განსხვავება იქნება მხოლოდ ტაქტიკაში — მრგვალი მაგიდა ამის მიღწევას ცდილობს ვითარების დესტაბილიზაციით, შიმშილობით, საპროტესტო გამოსვლებით და ა. შ. ხოლო კონგრესი — ლეგიტიმიური გზით. ორივე შემთხვევაში ასეთ მოქმედებას მივყავართ სამოქალაქო ომისაკენ, ანუ იმ ვითარებისაკენ, რაც დღეს ხდება რუმინეთში. ამიტომ ნათლად უნდა გაცნობიერდეს, რომ ოკუპაციის პირობებში ეროვნულმა ძალებმა თავი უნდა შეიკავონ ხელისუფლების მოპოვებისგან და დაკმაყოფილდნენ საპარლამენტო ოპოზიციით. სწორედ ამიტომ საკოორდინაციო ცენტრს პოლიტიკურად მავნედ და პრინციპულად მიუღებლად მიაჩნია **ერთადერთი**, საბჭოური, თუ არასაბჭოური, ოფიციალური არჩევნების ჩატარების მოთხოვნა. სხვათაშორის ლიტვაშიც, სადაც თავიდან ამ გზას დაადგნენ, უკვე მოხდა მხოლოდ ასეთი გზის მცდარობის გაცნობიერება. ამის გამო „საიუდისი" უკვე ცდილობს ჩვენი ეროვნული კონგრესის მსგავსი ორგანოს შექმნას (იხ. ამის შესახებ გაზ. „ახ. ივერიელი" 12. VI.90).

როგორც აღინიშნა ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის „მიმართვაში ქართველი ერისადმი" (იხ. გაზ. „ახ. ივერიელი" 12. VI. 90) პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებამ წინ არ უნდა გაუსწროს ეროვნულ განთავისუფლებას, რადგანაც როგორი პოლიტიკური რეჟიმიც არ უნდა დამყარდეს ოკუპირებულ და იმპერიულ სტრუქტურებში ჩართულ საქართველოში, თვით საბჭოთა ხელისუფლებისადმი ფუნდამენტალურად დაპირისპირებული წყობის — კონსტიტუციური მონარქიის სახითაც კი, იგი გარდაუვლად იქნება შეზღუდული თავის მოქმედებაში. რაც უფრო უკომპრომისო და ეროვნული ინტერესების გამომხატველი იქნება კოლონიური თვითმმართველობის ორგანო, მით უფრო მეტი იქნება იმპერიის მხრივ მასზე დაწოლა. საამისო „შენელებული მოქმედების ნაღმები" იმპერიას საკმაოდ მრავლად აქვს ჩადებული საქართველოში.

აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ უკანასკნელ პერიოდში ჩვენს პრესაში და ტელევიზიით მონარქიის სასარგებლოდ უდიდესი აგიტაცია მიმდინარეობს. თუ რამდენად მისაღებია კონსტიტუციური მონარქიის იდეა დღევანდელი საქართველოსათვის, ამაზე მსჯელობა სხვა დროისათვის გადავდოთ, მაგრამ ის კი კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ საქრთველოში პოლიტიკური რეჟიმის ყოველგვარი შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა აქედან გავლენ საოკუპაციო ჯარები, ანდა მათ გასვლაზე მიღწეულ იქნება შეთანხმება და აღსდგება 1918—1921 წლების რესპუბლიკა. მანამდე კი ახალი პოლიტიკური რეჟიმის შემოღება, განსაკუთრებით კონსტიტუციური მონარქიისა ქართველი ერის უდიდესი მოტყუება იქნება.

მაგრამ ისმება კითხვა — რა უნდა გააკეთოს ეროვნულმა კონგრესმა, თუკი ის არ იქნება ხელისუფლების ორგანო? საოკუპაციო ჯარების გასვლამდე **ეროვნული კონგრესი იქნება ეროვნული მოძრაობის მაკოორდინებელი და უზენაესი საბჭოს მაკონტროლებელი ორგანო.**

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოხდეს სათანადო მომზადებისა და ხელსაყრელი საგარეო და საშინაო პირობების დროს. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეროვნულ კონგრესში უნდა მოხდეს საქართველოში დღეს არსებული ყველა პოლიტიკური ძალების პოზიციათა შეჯერება, მომავალი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის ძირითადი პრინციპების შემუშავება. ამ მიზნით უკვე უახლოეს ხანებში საკოორდინაციო ცენტრში დაიწყება დებატები საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე.

რაც შეეხება ეროვნულ კონგრესს და უზენაეს საბჭოს შორის ურთიერთობას, ის არასოდეს არ მივა კონფრონტაციამდე და მით უმეტეს სამოქალაქო ომამდე. ამის გარანტია იქნება ის, რომ უზენაესი საბჭო აღიარებს ეროვნული კონგრესის უფლებას იყოს ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამომხატველი ერთადერთი ორგანო (რეფერენდუმის შედეგების მიხედვით). რაც მთავარია აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ერთდროულად იქნებიან როგორც ეროვნული კონგრესის, ასევე უზენაესი საბჭოს წევრები და მოახდენენ ამ ორგანოებს შორის აუცილებელ კოორდინაციას.

დარწმუნებული ვარ, ეროვნული კონგრესი უდიდეს როლს შეასრულებს, ქართველი ერის ცხოვრებაში.

**თემურ ფიფია,**

**ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის სარედაქციო კომისიის წევრი, თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.**

14. VI. 90 წ.

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განცხადება

ა. წ. 14 ივნისის „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნდა საქართველოს ქრისტიან-დემოკრატთა ასოციაციის პრეზიდენტის, საკოორდინაციო ცენტრის წევრის ი. კაკაბაძის წერილი „გზა მომავლისა". საკოორდინაციო ცენტრი შორს დგას იმ აზრისაგან, რომ მასში შემავალი ნებისმიერი წევრი წინასწარ უნდა შეუთანხმდეს ცენტრს მომავალი პუბლიკაციების თაობაზე, რომელიც მხოლოდ ამ წევრის და არა მთელი საკოორდინაციო ცენტრის სახელით იბეჭდება. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავს მოვალედ თვლის, თხოვნით მიმართოს მასთან პოლიტიკურ ალიანსში მყოფ ქრისტიან-დემოკრატთა კავშირს და მის პრეზიდენტს, მეტი ყურადღებით მოეკიდოს ეროვნული ყრილობის მასალებს, და, საერთოდ ნებისმიერ დოკუმენტს, რათა **ამ მასალების არასწორი გაგებით, ან, საერთოდ, არ ცოდნით** შეცდომაში არ შეიყვანოს და არ დააბნიოს მკითხველი.

**15 ივნისი 1990 წ.**

მჭვრეტის სასწაულები არიან საქართველოში მოქმედი ასოციაცია „ჯადოქრები“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“

# მაგები არ იტყუებიან...

გააქრო ყვითელი ცხვირსახოცი... ძერე კი ისევ გააჩინა, თითქმის ისე, როგორც ზღაპარში.

ზურა ვადაჭკორია არის პირველი ქართველი ილუზიონისტი, რომელიც მაგების მსოფლიო ასოციაციის წევრია.

თანაც არასოდეს უფიქრია მაგობაზე, არასოდეს უფიქრია ილუზიონისტობაზე, ალბათ აღმოაჩინა საკუთარ თავში თავმდაბლობა, უდიდესი ფანტაზიის უნარი და სცენის სიყვარული (ანუ ის თვისებები, რაც ზურას აზრით ილუზიონისტებისათვის არის მთავარი) და კიდევ სცენაზე 12 წელი ხელის სისწრაფემ, ვარჯიშმა, ვარჯიშმა და ვარჯიშმა გააძლებინა...

რა ერონვნებისა და ჯურის მაყურებელი არ გაუოცებია ზურა ვადაჭკორიას და მაინც ამბობს, რომ ყველაზე მართალი, ყველაზე უტყუარი და მკაცრი მაყურებელი ბავშვები არიან...

— ვერ იტყვი ვინ არის ყველაზე მაგარი მაგი... იმიტომ, რომ ეს კრივი არ არის — ანუ ძლიერს არ დარჩება გამარჯვება. ყველა მსახიობს თავისი გულშემატკივარი ჰყავს... თითოეული ჩვენგანი ისე აოცებს ხალხს, როგორც შეუძლია.

უახლოეს წარსულში ზურაბ ვადაჭკორიას მიერ მიღწეული წარმატება გახლავთ ილუზიონისტთა მესამე ფესტივალის ლაურეატობა. მანამდე — 1988 წელს პირველი ადგილი „ჯადოსნურ ალუმში“...

უახლოეს მომავალში კი:...



ხელები...

რამდენჯერ უნდა ითქვას ადამიანის ხელების ყოვლისშემძლეობაზე?!

მე აღარ მოვყვები.

ილუზიონისტების გამოსვლას სცენაზე ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებდი, სულ მეგონა, რაღაც ტყუილს გვთავაზობდნენ...

— ჩვენ ხალხს არ ვატყუებთ, ჩვენ მათ ვაოცებთ. — ამბობს ზურაბ ვადაჭკორია.

ამაში მე თვითონ დავრწმუნდი, როცა ჩვენს თვალწინ ჩვენივე თხოვნით, აი, ასე — ხელის გაწვდენა მანძილის სიშორეზე

●

შეიძლება ცოტა პრეტენზიულიც გეჩვენოთ განცხადება — ხალხს ვაოცებთო, მაგრამ თუ დაიღლებით ცხოვრებისეული ცუდი გაკვირვებებისაგან, თუ მოგბეზრდებათ პოლიტიკური მანიპულაციები, თუ დაგღლით უიმედობა — იქნებ კეთილმა ჯადოქრებმა გიშველოთ, შიშველი ხელებით რომ საოცრებებს აკეთებენ თითქმის ისე, როგორც ზღაპარში...

**მაია ჭალაგანიძე**

# საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების განცხადება

საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებასთან შეიქმნა კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირი, რომელიც აერთიანებს ყველა დარგისა და პროფილის კოოპერატივებს.

აღნიშნულ კავშირში შემავალი კოოპერატივები სარგებლობენ შეღავათებით დაბეგვრასა და ნედლეულით მომარაგებაში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას, კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის გამგეობას.

**ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი კრილოვის ქ. № 4.**
**ტელ: 96-24-20.**

## სსფ-ს რადიკალური ფრაქციის

# განცხადება

1990 წლის 15 ივნისს თსუ-ს ფიზიკის დიდ აუდიტორიაში გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის რადიკალური ფრაქციის დამფუძნებელი სხდომა.

დამფუძნებელმა სხდომამ მიიღო ფრაქციის წესდება და პროგრამის თეზისები, რომლებიც უახლოეს ხანში გამოქვეყნდება. ფრაქციის შექმნა განაპირობა საქართველოს სახალხო ფრონტის იმ წევრთა ორგანიზაციული ერთობის აუცილებლობამ, რომლებიც თვლიან, რომ სსფ-ს რიგებში არ შეიძლება იყვნენ ისეთი პარტიისა თუ საზოგადოებრივ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები, რომელთა პროგრამაც ეწინააღმდეგება სსფ-ს პრინციპებს.

ცნობებისათვის მოგვმართეთ.
23-29-61, 29-32-85, 23-32-84.

# პირველი „ჰეთ-თრიკი“ ჩემპიონატზე

...მსოფლიო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის. თანდათან ვლინდებიან აშკარა ფავორიტები და აუტსაიდერები. თუმცა, ფავორიტებზე ასე ხაზგასმით თქმა იმისა, თუ როგორ ფორმაში არიან საწყის ეტაპზე, ძალიან ძნელია. მაგალითად, ბრაზილიისა და გფრ-ის ნაკრებები სულ სხვაგვარად „უყურებენ“ პირველ ეტაპზე მეტოქეებს. ბრაზილიელებმა მორიგი გამარჯვება და მერვედფინალის საგზური მოიპოვეს, მაგრამ კოსტარიკელებთან მინიმალური ანგარიშით მოგება ვერავითარი ვაჟკაცობაა ასეთი ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდისათვის. რა თქმა უნდა, შესანიშნავად თამაშობდა კოსტარიკელთა მეკარე ლუის გაბელო კონეხო, მაგრამ ბრაზილიელებს აშკარად მეტი ბურთი უნდა გაეტანათ. ჯერჯერობით ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას მათგან ქორეინიო, ვალდო, ბრანკო და ალემაო ტოვებენ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეზერვში მათ ბებეტო, რომარიო, რენატო და სილასი ჰყავთ... ამავე, მესამე ჯგუფში მოულოდნელი შედეგით დასრულდა შეხვედრა შვეციისა და შოტლანდიის ნაკრებებს შორის, სადაც ბრიტანელებმა დამარცხება აგემეს ძალზედ სერიოზულ მეტოქეს — 2:1. ახლა ამ ჯგუფში ისეთი სიტუაციაა, რომ შვედებს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მხოლოდ დიდი ანგარიშით მოგება აწყობთ ხელთ კოსტარიკელებთან, ხოლო ამ უკანასკნელებს კი ფრეც...

პირველ ჯგუფში იტალიელების მსგავსად, ვადაზე ადრე მოიპოვეს მერვედფინალის საგზური ჩეხოსლოვაკიელებმა, რომლებმაც მეტად „კორექტულ“ შეხვედრაში სძლიეს ავსტრიის ნაკრებს — 1:0. აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი განსაკუთრებული უხეშობით გამოირჩეოდა და შეხვედრის მთავარ მსაჯს, შოტლანდიელ ჯორჯ სმიტს არა ერთხელ მოუხდა ყვითელი ბარათების ჩვენება ფეხბურთელთათვის... მეოთხე ჯგუფში კი თითქმის ყველაფერი გარკვეულია. იმდენად შთამბეჭდავად და დამაჯერებლად თამაშობენ დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები, რომ უკვე ამ ადრეულ ეტაპზევე ჩანს მათი პრეტენზიები მაღალი ადგილებისაკენ. ძლიერმა გუნდმა ყოველთვის უნდა გამოავლინოს მაღალი კლასი და ამის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშადაც დასავლეთგერმანელთა შეხვედრა იყო არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებთან, რომელშიც კვლავ გამოჩნდა, თუ რა ბრწყინვალე ფორმაში იმყოფებიან იურგენ კლინსმანი და ლოთარ მატეუსი. მათ არც რუდი ფიოლერი, ტომას ჰასლერი და ანდრეას ბრემე ჩამოუვარდებიან და კიდევ ვიმეორებთ, რომ გფრ-ის ნაკრები თავისი შესანიშნავი თამაშით სერიოზულ განაცხადს აკეთებს ჩემპიონობაზე... ამ დღეების ცენტრალური შეხვედრა კი კალიარიში გაიმართა, სადაც ჰოლანდიისა და ინგლისის გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. სხვისა არ ვიცით, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს იყო მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა, სადაც მართლაც და ღირსეული მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს. ორივე გუნდის შემადგენლობაში წინა შეხვედრასთან შედარებით რამდენიმე ცვლილებები იყო. მაგრამ, თუ ინგლისელთა რიგებში პოლ პარკერისა და განსაკუთრებით მარკ რაიტის გამოჩენამ გარკვეული კორექტივები შეიტანა თამაშში, ჰოლანდიელებზე ამას ვერ ვიტყვით. იმ სამი ახალი ფეხბურთელიდან, მხოლოდ ჯონ ვან ტ შიპი გამოირჩეოდა, ისიც პირველ ტაიმში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი მისთვის უჩვეულო მარჯვენა ფრთაზე მოქმედებდა. რაც შეეხება მის ჩვეულ ადგილს მარცხენა ფლანგზე,



აქ ვერაფრით გამოიჩინეს თავი რიხარდ ვიჩგემ და განსაკუთრებით ჰანს გილხაუსმა. ყველაზე მეტად ჰოლანდიელთა რიგებში ცენტრალური მცველები რონალდ კუმანი და ფრანკ რიკაარდი აქტიურობდნენ, თუმცა, არც ერთი



რეალური საფრთხე ინგლისელთა ვეტერანი მეკარის 40 წლის პეტერ შილტონის კართან მათ არ შეუქმნიათ. თავის მხრივ, ინგლისელებს არა ერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ კარის აღებისა, მაგრამ იმ დღეს აშკარად არ სწყალობდა ბედი ამ მატჩის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს და ცნობილ ბომბარდირს გარი ლინეკერს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მთლიანობაში უპირატესობა ინგლისელების მხარეს იყო და ჩვენი აზრით, მათი „ჩამოწერა“ ნამდვილად ნაადრევია. ეს მატჩი უაღრესად სუფთა და ჯენტლმენური თამაშითაც გამოირჩეოდა, რაშიც უდავოა იუგოსლაველი არბიტრის ზორან პეტროვიჩის დამსახურება. დიდ ინტერესს იწვევდა ამ ჯგუფის კიდევ ორი ნაკრების შეხვედრა, რომელიც ასევე ნულოვანი ფრით აღინიშნა. ორი ტაიმის განმავლობაში, ეგვიპტელთა მეკარეს ახმედ შუბეირს არა ერთხელ დასჭირდა თავისი მაღალი ოსტატობის გამოვლენა.

არანაკლებ ინტერესს იწვევდა შეხვედრა ბელგიისა და ურუგვაის ნაკრებებს შორის. თითქმის მთელმა მატჩმა ურუგვაელთა შეტევებში ჩიარა, მაგრამ ბელგიელები საკმაოდ ორგანიზებულად იცავდნენ კარს და მწვავე კონტრიერიშებს ახორციელებდნენ. პირველ ტაიმში ბელგიელების ორი შესანიშნავი შეტევა ლეო კლიისტერსისა და ენცო შიფოს ბრწყინვალე გოლებით დამთავრდა მეორე ტაიმის დასაწყისში კი მათმა კაპიტანმა და ბელგიური ფეხბურთის ყველაზე პოპულარულმა ფეხბურთელმა იან კულემანსმა მესამე ბურთი გაიტანა, თანაც ამ დროს ბელგიელები მოედანზე ათნი თამაშობდნენ (ერიკ გერეტსის გაძევების გამო). ურუგვაელებს ცდა არ დაუკლიათ წარმატების მისაღწევად, მაგრამ ბელგიელთა დაცვა და მეკარე მიშელ პრუდომი შეუვალი აღმოჩნდა. მხოლოდ ერთხელ მოახერხეს ურუგვაელებმა პრესიიუს გოლის გატანა, როდესაც მათი ნახევარმცველის პედრო ბენგოეჩეას მიერ ეფექტურად დარტყმული ბურთი მეკარისაგან მარჯვენა კუთხეში გავიდა. ამ გამარჯვებით ბელგიელებმა გაინაღდეს მერვედფინალის საგზური. ხოლო ურუგვაელებს კიდევ აქვთ შანსი სამხრეთკორეელებთან შეხვედრაში.

ამ უკანასკნელებმა მეორე შეხვედრაც წააგეს. ამჯერად ესპანელებთან — 1:3. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი ფრედ დამთავრდა, მაგრამ შემდეგ კი გამოცდილმა ესპანელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა მატჩში. ამ შეხვედრაში ესპანელთა საუკეთესო ნახევარმცველმა მიჩელმა სამი ერთიმეორეზე ლამაზი გოლი გაიტანა და ჩემპიონატის პირველი „ჰეთ-თრიკის“ ავტორიც გახდა. ამ მოგებით ესპანელებმაც ვადამდე ადრე მოიპოვეს მერვედფინალის საგზური, მაგრამ მათი თამაში აშკარად ვერ უპასუხებს მის პოტენციალს...

**სურათებზე: ზევით — ესპანელი მიგელ გონსალეს „მიჩელი“; ქვევით — ბელგიელები წარმატებას ულოცავენ თანაგუნდელ ენცო შიფოს.**

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700808 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.**


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ გალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400 უე 00916

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380008 მ. კოსტავას ქ. № 14.